

ქართული



ქართუდი მსოფთ რნაა?
ქართუდი ქართუდთ რნაა!
უძრთთა, ბუდისრნაა,
ზუდა რთა, იმთუაა!

1(26) 2010
იანვარი-თებერვალი

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

ნომოჯიშინა:

საზიხვედვეხელა დეჟნი	3
ქაიხვედვი მხედრომთაგინი გორი V ბინეგადე	4-6
ვუხვი მცინე თოდროთონი	7-8
ახენ ნყადორი	8
ხუთუხი სხი ბეხიქაშვილი! აღუაჟ თე ახა დანაშვილი ბეხიქაშვილი?	9-12
„ბაილა ნათონა“ ანუ „თეთი ბანინი“ აბაჟი	12-13
„გიორი ღამის სახანის“ საიღვი	14-15
„ბეხინის“ უმცინე თაგინეგინი	15
Lebendige Tradition in der Diaspora	16
ინეგინე დამ რინდამხონ	17-19
მე მინი მეგობარი ვიყავი მეფა მეგინეგინის მოგინე	20-22
Auf den Spuren meines georgischen Großvaters	23-24
სომთაგინის ადგენა	25-29
კუმიჩი	30

ს ა ზ ი რ ვ ა ე რ ვ ა რ მ ე მ ე ნ ე

ღამე ივრისა

იქვე აყვავდა გული ვარდივით
 და იქვე მიწდა ქენჭე დაქნეო...
 დაბიალიდან გადავარდნილი
 ხაზარეთისკენ მიხსურავს ნეო.

დახანძრეული ნევს ივრია,
 ქცევათზე წნოთქი აყრავენ თარქმს,
 ქცევივეთი საღლაც ქტუნიან,
 სოფლის გუქში გაჩიოლა მთვარე...

სთვლემენ ჭელღებში ლაქტი ყანებში,
 უღვათქმს ხვავი, თითქონ ლაქვანი.
 ჩალაგდნენ ყველა ჩინებისანებში...
 სთქვი, მენიქვილევ, რთი ზღაპარი.

სთქვი ნაღვლიანი ძველი ქართლივით,
 ან აზნაუთის ქალზე ვიძღუროთ...
 დაბიალიდან გადავარდნილი
 ხაზარეთისკენ მიხსურავს ნეო...

გიორგი ლეონიძე

ქართული

ქართული მხედრობის

ბიძგები V ბრწყინვალე

გიორგი მეხუთე ბრწყინვალე, საქართველოს უდიდესი ხელმწიფე 1314-1346 წლებში, დემეტრე მეორე თავდადებულის უმცროსი ძე, აღიზარდა სამცხეში, დედის მხრიდან მისი პაპის, მანდატურთუხუცეს ბექა პირველი ჯაყელის კარზე. პირველად, 1299-1300 წლებში, როცა იგი 10-11 წლისა იქნებოდა, მონღოლებმა დასვეს თბილისის ტახტზე, მისი უფროსი ნახევარძმის, დავით მერვის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მისი უფლებები თბილისს არ სცილდებოდა და ამიტომ „თბილისის მეფეს“ უწოდებდნენ. მალე მონღოლებმა ყრმა გიორგი დავით მერვის კიდევ ერთი ძმით, ვახტანგით შეცვალეს.

1311 წელს, გიორგი თავისი ძმისშვილის – მცირეწლოვანი გიორგი მეექვსე „მცირეს“ რეგენტი გახდა. მალე გიორგი „მცირე“ გარდაიცვალა და ტახტზე გიორგი ბრწყინვალე ავიდა. მათიანე ქართლისაიში სწერია: „დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა თავდადებულისა, და დაიწყო მთიანეთს აღმობრწყინებდა. ხოლო მე ენასა ვერ ძალ-მიცს საკვირველებათა და საშინელებათა თქმად. თუ რაოდენ შუენიერად და გონიერად განაგებდა და ქმნა ანუ ქცობანი და ბრძოლანი, ანუ შემატებანი სამეფოსანი და ქუეყანისანი“-ო.

გიორგი ბრწყინვალის მეფობა ფეხბედნიერი აღმოჩნდა საქართველოსთვის. მემკვიდრეობად მან მიიღო დაქცეული ქვეყანა – ეკონომიკურად დაძაბუნებული, პოლიტიკურად დაშლილი, სულიერად დაკნინებული. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი“.

1315 წელს ოლჯაიტუ ყაენმა გიორგი მეხუთე თავისი ჯარით მცირე აზიაში მომხდარი აჯანყების ჩასაქრობად გაიწვია. ქართველები წავიდნენ და ერთხელ კიდევ გააკვირვეს ქვეყანა თავისი ვაჟკაცობით. ეს იყო ქართველების უკანასკნელი მონაწილეობა მონღოლთა დაუესრულებელ ლაშქრობებში.

გიორგიმ მონღოლთა დასუსტებული საყაენოს

ხელისუფლების გარკვეულ წრეებში მხარდაჭერა მოიპოვა, იგი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და თავდაპირველად მონღოლებთან ბრძოლას ფრთხილი და მშვიდობიანი ურთიერთობა ამჯობინა. ჯერ კიდევ ბექა ჯაყელის კარზე ყოფნისას მოიპოვა მონღოლთა ნდობა, იგი მეგობრობდა ილხანის მთავარ ვაზირთან – ჩობან ნოინთან, ამან საშუალება მისცა საშინაო მდგომარეობა გამოესწორებინა.

პირველ რიგში ქართლში მომძლავრებული ოსები, რომელთაც ადგილ-ადგილ ციხე-ქალაქები დაუპყროთ, დაიმორჩილა, კავკასიონს მიღმა გადარეკა და ხარკი დაუწესა.

იმერეთში დავით ნარინის შემდგომ მრავალი წლისმანძილზე ძმათა შორისაშლილობა იყო. ამდროს მეფობდა მცირეწლოვანი ბაგრატე, ძე მიქელ მეფისა, რომელსაც ერისთავები არ ემორჩილებოდნენ. ამით ისარგებლა გიორგი მეფემ და იმერეთის შემოერთება განიზრახა, შემოიკირბა ჯარი და ლიხის ქედი გადალახა. გამუდმებული ბრძოლებით შეწუხებულმა მოსახლეობამ, გიორგი მეხუთე სიხარულით მიიღო.

ბაგრატე აღმზრდელებმა ქუთაისში წაიყვანეს და ციხეში გაამაგრეს. გიორგი ჯარით ქუთაისს შემოეწყო. ბაგრატე მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყოდა და მეფეს ციხეების ჩაბარება და მორჩილება აღუთქვა სიცოცხლისა და თავისუფლების სანაცვლოდ. გიორგიმ პირობა მისცა ხელშეუხებლობისა და ბაგრატე „მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა და მისცნა ყოველნი ციხე-ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანს“. გიორგი მეხუთემ ჩაიბარა ქალაქები და თავისი ერისთავები განაწესა, ხოლო ბაგრატე ჰყო ერისთავად და მისცა საერისთაოდ შორაპანი.

ამის მხილველნი მამია დადიანი, გურიელი, სვანთა და აფხაზეთის ერისთავი შერვაშიძე, მიეახლნენ გიორგი მეფეს და დაულოცეს მეფობა იმერეთსა და სრულიად საქართველოსი.

მერმე მოვიდა მეფე ოდიშს და აფხაზეთს და გაყარა ორგულნი, დაიპყრო ციხეები და თავისი ხალხი განაწესა. მისცა ცხომის საერისთაო ბედიელს.

უკან მობრუნებულმა შემოვლო გურია, იქაც თავისი ერთგულნი განაწესა და მიაღვა სამცხეს. მეფის სამცხეში ყოფნის დროს მოკვდა ათაბაგი სარგისი. გიორგიმ მიუბოძა ათაბაგობა სერგისის ძეს – ყვარყვარეს და თავისი ერისთავები დააყენა კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს, წუნს და მისცა ისინი ბიძებს და ბიძაშვილებს ყვარყვარე ათაბაგისას და ისინი მორჩილებდნენ ათაბაგს. „ხოლო განაგნა მუნებურნი, ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღუარმან, ყოველნივე და წარმოვიდა და მოვიდა ტფილისს“.

შემდგომ განიხილა მეფემ მთიულთა საქმე, რადგან იქ „მრავალნი უჯერონი იქმნებოდნენ“. შეკრიბა ჯარი და დაიმორჩილა ყოველნი. ჩავიდა მუნხრანს და ჩაიყვანა კავკასიაში მცხოვრები ყველა ქრისტიანი ხალხის მთავარნი და ხვეისბერნი. ჩამოვიდა თბილისს და წამოიყვანა ისინიც და განუჩინა მათ სამართალი, რომელსაც უწოდეს „ძეგლის დიდება“. ეს მკაცრი კანონმდებლობა სასტიკი შეურყევლობით და დაუთმობლობით აღადგენდა და განამტკიცებდა ტრადიციულ ქართულ სამართალს, სულსა და ზნეობას.

ამას მოაყოლა „ხელმწიფის კარის გარიგება“ – ქართული სამეფო-სამართლებრივი კონსტიტუცია.

მეფემ აღადგინა ტრადიციული სამეურნეო დარგები. გაატარა ფინანსური რეფორმა. მონღოლური ფულადი ერთეული – „ყაზანური თეთრი“, შეცვალა ახალი, საკუთარი ვერცხლის მონეტით – „გიორგაული თეთრით“.

გიორგი ბრწყინვალე აშენებდა და აღადგენდა ასი წლის მანძილზე ნანგრევ-ნაოხარ ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, ციხესიმაგრეებს, ეკლესიებს, გზებს, არხებს.

განაახლა დაქცეული ტაძრები – დადაბნისა, ფიტარეთისა, წულრულაშენისა, კაზრეთისა, ღმანისისა.

ჩობან ნოინის სიკვდილის შემდეგ სხვა ნოინები ყაენს განუდგენენ და დაიპყრეს ზოგმა სპარსეთი, ზოგმა ხუარასანი, სხვამან ერაყი, ადრაბაგანი და საბერძნეთი.

მაშინ იხელთა დრო მეფე გიორგიმ და „განასხნა თათარნი“ საქართველოდან, ზოგი ბრძოლით და ზოგიც მოხერხებით.

1335 წელს გიორგი ბრწყინვალემ ხარკი შეუწყვიტა მონღოლებს, ადვილად გაუმკლავდა მათ დამსჯელ რაზმს და საქართველოს კისრიდან მონღოლ-თათრული უღელი გადააგდო.

ამ საოცნებო გამარჯვების აღსანიშნავად მეფემ ნადიმი გამართა და იქვე მიწვეულ სტუმართაგან, ვისაც მონღოლთა წინააღმდეგ სამამულო ომში მონაწილეობაზე უარი თქვა, პირველ რიგში მხარგრძელებს – მეფის ბრძანებით თავები დააყრუებინეს.

შემოიკრიბა მეფემ ჯარი და რანში შევიდა, წინააღმდეგობა ვერაუინ გაუწია და შირვანიც დაიმორჩილა. დარუბანდამდე ქურდის ლეკიოთურთ ხარკი დაადო და გაძლიერებული დაბრუნდა თბილისს.

ადრაბაგანის დამპყრობმა ნოინმა დაიპყრო სომხითი, რანი, მოვაკანი და მიაღვა განჯას, რათა გიორგი მეფეც დაემორჩილებინა. რა შეიტყო ეს გიორგიმ თავისი ჯარით მიეგება, დიდი ბრძოლა გაუმართა და გამარჯვებული დიდძალი ნადავლით დაბრუნდა უკან.

მალე საქართველოს ახალი მტერი გამოუჩნდა – ოსმალ-თურქები, სულთან ორხანის მეთაურობით. მან განიზრახა კლარჯეთისა და მისი მიდამოების დაპყრობა. გიორგი მეხუთემ მოციქული გაუგზავნა და ზავი შესთავაზა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო. მაშინ შეება გიორგი და „მოსცა ღმერთმან ძლევა და მოსრნა ურიცხუნი თურქნი და ივლტოდნენ სულტნიოთურთ“. გიორგი გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში.

ამის შემდგომ დაიმორჩილა მეფემ რანი, მოვაკანი და სომხითი და ხარკი დაადო მათ და „არცაღა იყვნენ თათარნი საბრძანებელსა მისსა“.

რაკილა მეფე გიორგიმ დაიმორჩილა მთელი საქართველო და აღარავინ იყო მისი ურჩი და



წინააღმდეგი, მოიწვია მღვდელთმთავრები და განაახლეს „წესნი და რიგნი“ ეკლესიისა და განკვეთეს უღირსი მღვდელთმსახურები.

1340-1341 წლებში გიორგიმ ჯარები შეიყვანა პონტოში და იქ, ტრაპიზონის სასახლეში, ძველი, თამარის დროინდელი ქართული ხელისუფლება ააღორძინა.

კვლავ აღდგენილ იქნა ერთიანობა საქართველოში, ნიკოფსიიდან დარუბანდამდის (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით), ანუ – კავკასიის „იმპერია“ დავითის და თამარის „ოქროს საუკუნისა“.

კვლავ გაითქვა სახელი მთელს მსოფლიოში საქართველომ და მისმა ხელმძღვანელმა – გიორგიმ მესხეთე ბრწყინვალემ.

გიორგიმ მეფის ძლევამოსილებამ და მისმა დიდებამ რომის პაპის – იოანე ოცდამეორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. მან მისიონერები გამოაგზავნა საქართველოში და წერილი გამოატანა გიორგიმ მეფესთან და მის დიდებულებთან. წერილის პირველი ორი ნაწილი შეეხებოდა ეკლესიის ერთობის საჭიროებას, ხოლო მეორე ნაწილში პაპი მოუწოდებდა მეფეს და დიდებულებს კათოლიკურ ეკლესიათან შეერთებაზე.

უცნობიარაპასუხი გაუგზავნა მეფემ პაპს, მაგრამ საქართველოს არც გიორგი ბრწყინვალის დროს და არც სხვა პერიოდში მართლმადიდებლობისათვის არ უღალატია. თუმცა რელიგიურ უმცირესობათა და მათ შორის კათოლიკების უფლებები შეზღუდული რომ არ იყო ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ პაპის მიერ ევროპელთა სამისიონერო კათედრა სმირნიდან თბილისში იქნა გადმოტანილი.

ამ დროისათვის იერუსალიმში მხოლოდ ქართველებს ეძლეოდათ უფლება, ცხენზე ამხედრებულს და ეროვნული დროშების ფრიალით ევლოთ მის ქუჩებში.

ასე იღვანა გიორგიმ მესხეთე, „ხოლო ამისათვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქურითა და დავრდომილთა შემწვნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუალად შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმშენებელმან, განაგსნა და აღაშენა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინა, ეკლესიანი დარღუეულნი და მოოხრებულნი აღაშენა, განაახლნა და განანათლნა; ხოლო რანი, შარვანში და მოვაკნი მოხარკედ ჰყვნა თავისად; სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა, და მეფობდა მეფობითა კეთილითა ივერიასა ზედა“.

1346 წელს გიორგიმ მესხეთე ბრწყინვალე გარდაიცვალა. გამეფდა 24 წლისა, იმეფა 32 წელიწადი, აღესრულა 56 წლისა. დაკრძალეს გელათს.

მომზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტ „მთავარსარდლის“ ლიტერატურული სცენარის მიხედვით ავტორი ლევან უმიკაშვილი

ინფორმაცია

Au-Pair -ის პროგრამით ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ შეპითხვები მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, შეუძლიათ დაუკავშირდნენ სათმისტიმონთან არსებულ საინფორმაციო ჯგუფს შემდეგ ნომრებზე:

0176 23346015 (პარამენი),
0176 22640247 (თონათონი),
0179 4998874 (ნონი)

ან ელექტრონული ფოსტით: info@satvistomo.de

წესები

ეფრემ მცირე ფილოსოფოსი

(31 ინვარი)

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში განუზომელია ეფრემ მცირეს ღვაწლი. მისი შრომების რიცხვი ასამდე აღწევს და ეხება საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგს. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, იგი იყო შვილი ვაჩე კარიჭისძისა, რომელიც სხვა ტაოელ აზნაურებთან ერთად 1027 წელს საბერძნეთში გაემგზვრა. იქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა და მოგვიანებით გადავიდა ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავ მთაზე, სადაც სამოცდაათამდე ქართველი ბერი საღვთისმეტყველო ლიტერატურის შევსება - გამრავლებით იყო დაკავებული. ამ წრეს ეკუთვნოდნენ: გიორგი მთაწმინდელი, ანტონ ტბელი, საბა თუხარელი. ისინი მხარში ამოუდგნენ ეფრემ მცირეს, შეაფასეს მისი შესაძლებლობები და დაავალეს მთარგმნელობითი საქმიანობა. თავის „მოსახსენიებელში“ ღირსი ეფრემი ამბობს, რომ საბა თუხარელისგან შეისწავლა საეკლესიო წიგნების კითხვის წესი, საკმაოდ დაუღებულად მიიჩნევს თავს იოანე ფანაკელისგანაც რომლისგანაც „განკვეთილობის ნიშნების გამოყენება“ ისწავლა. გაბრიელ მღვდელი კი არჩევდა წიგნებს, რომელსაც შემდგომ ეფრემ მცირე თარგმნიდა.

ეფრემ მცირემ სახელი მრავალმხრივი მოღვაწეობით მოიპოვა, რომელთაგან ძირითადი მანაც მთარგმნელობითი საქმიანობა იყო. მას მთარგმნელობის საკუთარი თეორიაც კი ჰქონდა, რომელსაც სამი არსებითი ნიშანი ახასიათებს:

1. ტექსტი აუცილებლად უნდა ითარგმნებოდეს დედანიდან.
2. თარგმნის დროს მნიშვნელოვანია არა მარტო სიტყვა-სიტყვით ორიგინალი ტექსტის გადმოტანა, არამედ შინაარსის მართებული გადმოცემა, რომელიც ტექსტს შინაარს და სილამაზეს არ დაუკრავს.
3. თარგმანზე აუცილებლად დართული უნდა იყოს კომენტარები, რომელიც ხელს შეუწყობს ბუნდოვანი აზრის განმარტებას.

ტექსტის შინაარსის გასაგებად და ადვილად აღსაქმელად მან საკუთარი პუნქტუაცია შემოიღო.

როგორც თავად განმარტავს, იგი წერტილს იყენებდა „მცირედ სასუენად, ორწერტილს განსაკუთრებულად სიტყვისა და სამწერტილს დიდად სასუენად და ექვს წერტილს სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიტყვისა“.

ეფრემ მცირეს ნათარგმნ თხზულებათა შორისაა იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, კერძოდ მისი ორი ნაწილი „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა“, ბასილი დიდის და ეფრემ ასურის „ასკეტონი“, ეპისტოლეთა და ფსალმუნთა კომენტარები, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი, ე.წ. „არეოპაგეტიკა“, რომელიც მეცნიერებაში ქრისტიანული ფილოსოფიის მწვერვალადაა აღიარებული.

ბიბლიური წიგნებიდან მან რედაქცია გაუკეთა გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ „სამოციქულოს“.

ეფრემ მცირეს ორიგინალური ისტორიულ-პაგოგრაფიული ხასიათის შრომაც ეკუთვნის „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. მისი დაწერის მიზანი

იყო ანტიოქიაში მოღვაწე ბერძენი ბერებისათვის ქართველთა ბერძენების თანადროული გაქრისტიანება დაესაბუთებინათ, ბერძნული წყაროებიდან ამოკრებილი ცნობებით, რადგან ქართულ წყაროებს ისინი ნაკლებად ენდობოდნენ. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ანტიოქიისა



ეფრემ მცირე

და შავი მთის ბერძენი ბერები საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას არ სცნობდნენ. სხვა მრავალ მიზეზთა შორის ასახელებდნენ იმასაც, რომ თითქოს საქართველოში ქრისტიანობა არც ერთ მოციქულს არ უქადაგია. აუცილებელი გახდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების დაცვა-დადასტურება. იქაურ ქართველ მოღვაწეებს ეფრემისთვის დაუვალებიათ ამ საქმის მოგვარება. ეფრემ მცირემ ამ თხზულებაში ერთად შეკრიბა და მეცნიერული არგუმენტებით დაასაბუთა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა. იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველები მართლმადიდებლად წმინდანინოს მიერ კონსტანტინე დიდის დროს მოიქცნენ, ბერძნული წყაროებით ასაბუთებს, კერძოდ, ვეგარუს ისტორიას და თეოდორიტე კვირელის ისტორიას

იმოწმებს.

ისტორიული ცნობების მიხედვით, ღირსი ეფრემ ასურელი 1091 წელს აურჩევით კასტანის მონასტრის წინამძღვრად.

მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი არ მოიძებნება წყაროებში, თუმცა რუის-ურბნისის კრების (1103) აქტები მას მიცვალებულთა შორის იხსენიებს.

მრავალთაგან მცირედი ღვაწლის წარმოჩენაკი მიუთითებს იმ უდიდეს დამსახურებაზე, რომელიც ეფრემ მცირეს მიუძღვის საქართველოში საღვთისმეტყველო აზრის განვითარებაში. ამ დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ეფრემ მცირე წმინდანად შერაცხა.

არსენ იყალთოელი



არსენ იყალთოელი

„ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, ანატომოსი, ალილორიკულთა შეთხზვათა შინ ქებული, უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიო ტიპიკონთა მეტყველი“ - ასე აღწერს ისტორიკოსი წმინდა არსენ იყალთოელს, რომელიც მე-11 მე-12 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. იგი იყო ეფრემ მცირის უმცროსი თანამედროვე რომელმაც ზედწოდება „იყალთოელი“ დაბადების ადგილის მიხედვით მიიღო. მან სამეცნიერო და საღვთისმეტყველო განათლება კონსტანტინეპოლში, კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ მანგანის წმინდა გიორგის მონასტერში მიიღო. სწავლის დასრულების შემდეგ სამოღვაწეოდ შავ მთაზე გაემგზავრა, სადაც მოგვიანებით ეფრემ მცირეს დაემოწაფა. მისივე დახმარებით დაეუფლა თარგმნის ხელოვნებასაც.

არსენის მოძღვრის, ეფრემის გარდაცვალების შემდეგ, იგი შავი მთიდან ისევ მანგანის მონასტერში დაბრუნდა. სადაც მან ანასტასი სინელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „წინამძღვარი“ და გიორგი ჰამრტოლის „ხრონოღრაფი“ თარგმნა. 1103 წელს, მეფე დავით აღმაშენებლის მიწვევით, არსენმა მანგანის მონასტერი მეორედ დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. სასულიერო და საერო მეცნიერების უბადლო მცოდნე არსენ იყალთოელი მრავალი წლის განმავლობაში იყო მეფის სანდო და კეთილგონიერი მრჩეველი. იგი ყოველთვის ესწრებოდა დავით აღმაშენებლის თაოსნობით მოწვეულ კრებას. გელათის აკადემიაში მოღვაწეობის დროს მან „დიდი რჯულის

კანონი“ თარგმნა.

არსენის მთარგმნელობით საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს კრებულს, რომელიც დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებებისგან შედგება და ქართულ მწერლობაში მას „დოგმატიკონი“ ეწოდება. „დოგმატიკონის“ სახით ქართველებს მიეცათ სახელმძღვანელო არა მხოლოდ ქრისტიანული ღვთისმეტყველების საფუძვლიანად შესასწავლად, არამედ სხვა აღმსარებლობისაგან თავის დასაცავადაც, რადგან მასში შედიოდა პოლემიკური თხზულებები ნესტორიანთა, ურიათა, მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ამ

წიგნის თარგმნა მან მანგანის მონასტერში დაიწყო და შიო-მღვთისმცოდნეობის მონასტერში დაასრულა. სავარაუდოდ, მეფის გარდაცვალების შემდეგ არსენი იყალთოში გადავიდა, სადაც მან იყალთოს უმაღლესი სკოლა-აკადემია დააარსა. არსენის მიერ დაარსებულმა იყალთოს აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინების საქმეში. არსენ იყალთოელი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და დაკრძალულია იყალთოში.

ეკატერინე ცირიკაშვილი

უზიფარი ხარ ბერბიჭაშვილი!

აღიარა თუ არა დანაშაული ბერბიჭაშვილმა?

1941-42 წლებში თბილისში, უმაღლესი სასამართლოს დახურული კარის მიღმა ჭავჭავაძის მკვლელის, გიგოლა ბერბიჭაშვილის გასამართლება მიმდინარეობდა. ამ სასამართლო პროცესს საზოგადო მოღვაწე ვარლამ ძიძიგური დაესწრო. 1909 წლიდან 1918 წლამდე ვარლამ ძიძიგური პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა რეგიონებში. იგი 1957 წელს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად.

ილია ჭავჭავაძის მკვლელის გასამართლება ვარლამ ძიძიგურმა ვრცლად აღწერა თავის წიგნში „მასწავლებლის მოგონებანი“.

გთავაზობთ შემოკლებულ ვარიანტს ვარლამ ძიძიგურის მოგონებებიდან. თავს, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელის სასამართლო პროცესს ეხება, ჰქვია „ილიას მკვლელის გასამართლება“

ჩემი მესხიერებიდან არასოდეს ამოიშლება ის ათი დღე, 1941 წლის 25 დეკემბრიდან 1942 წლის 5 იანვრამდე, როცა თბილისში, უმაღლესი სასამართლოს დახურულ კარში ილია ჭავჭავაძის მკვლელის - გიგოლა ბერბიჭაშვილის გასამართლება მიმდინარეობდა. ამ სასამართლოზე დასასწრებად სულ ორმოციოდე საშვი იყო და ერთი მათგანის მიღება მარჯუნა ბეღმა.

საბრალდებო სკამზე იჯდა 64 წლის კაცი, საშუალო ტანის, გამხდარი, ფართო მხარ-ბეჭიანი, ხმელი და თხელი სახისა, ჭადარა გიგოლა ბერბიჭაშვილი.

სასამართლოს თავმჯდომარის პირველი კითხვა იყო ბერბიჭაშვილისადმი:

- სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?
- იმდენად, რამდენადაც...- და მოჰყვა ბერბიჭაშვილი წილადობილას...
- ჩანს, არ გინდათ თქვათ არც კი, არც არა! გვიამბეთ თქვენი თავგადასაუალი, თქვით, რისი თქმაც გინდოდათ!
- მე ადრე დამეხოცნენ მშობლები, ვცხოვრობდი ბიძასთან. ის მამადლიდა ლუკმა-პურს. ავდექ და გავიქეცი მისგან. შევეკვლე ტყეში რამდენიმე კაცს, ტყეს წვაუნენ, ნახშირს ამზადებდნენ და ქალაქში დაჰქონდათ გასაყიდად. ერთი ვირი ჩამაბარეს, დატვირთავდი ამ ვირს და ტყიდან „ხაზინების“ ნახშირს ვზიდავდი გასაყიდად. თბილისში „ზემელთან“ ერთი პატარა დუქანი იყო. იქ ერთი კაცი მომცემდა პროკლამაციებს, ჩავაწვობდი იმ პროკლამაციებს ნახშირის გილდეში, ზემოდან რამე-რუმეებს დაყვრიდი და ისე მიმქონდა ტყეში; იქიდან ჩუმ-ჩუმად ვურიგებდი გლეხებს ამ პროკლამაციებს. მე პარტიზანთა რაზმის წევრი ვიყავი, წითელი პარტიზანელის მოწმობა მქონდა. 1905 წელს

დამიჭირა პოლიციამ და დუშეთის სამაზრო ციხეში დამამწყვდია. ციხე გავტეხე და გამოვიქეცი. ამის შემდეგ ტყეში ვიმალებოდი. ერთხელ, ეს იყო 1907 წელს, ტანისამოსი დამეფლითა, ახლის შესაძენად ჩუმად მინდოდა ჩამოესულიყავი თბილისში და საგურამოზე გამოვიარე. სადამო იყო. გზაში შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი - ხიზანიშვილი. მითხრა: ამაღამ ილია ჭავჭავაძის სახლის ზემოთ, ტყეში, რამდენიმე კაცს კრება გვაქვს და დაგვესწარიო. არ მინდოდა, მაგრამ ძალით წამიყვანა. კრებაზე 10-12 კაცი იყო. თავმჯდომარეობდა ვილაც ჯაში. როგორც გავიგე, ეს კაცი ილია ჭავჭავაძის მოურავი ყოფილა. მან წაიკითხა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გაზეთში დაბეჭდილი წერილი. ჯაშმა თქვა: მე დღეს ვარ აქ და ხვალ არა და მაინცდამაინც არ მენაღვლება, მაგრამ თქვენ აქაურები ხართ, ვერსად წახვალთ და კნიაზ ილიას წვალებას მანამ ვერ გადაურჩებით, სანამ მას არ მოკლავთო. მოკალით და მოისვენეთ, - მისი მოკვლა რა დიდი საქმეაო.

- რა დროს ამოიყვან თბილისიდან კნიაზსო? - ჰკითხა მან იქვე მყოფ ილიას მეეტლეს აფციაურს.
 - ნაშუადღევს 1-2 საათზე, - მიუგო მან.
 - წიწამურში რა დროს იქნებით?
 - დაახლოებით 12 საათზე. იქნებ უფრო ადრეც. კარგად არ ვიცი, რა დროს წამომყვება თბილისიდან კნიაზი. ეს კი ვიცი, რომ დილით უნდა წამოვიდეს და ადრე მისვლა შემომითვალა.
- გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ხუთი კაცი აირჩიეს, მათ შორის მეც. მე უარზე ვიყავი: თქვენი კნიაზია და თქვენ უნდა მოკლათ, მე რა მესაქმება-მეთქი. ძალით ჩამაბეს ამ საქმეში. იმ დამეს წიწამურის ზემოთ ვივანხმეთ ერთ ოჯახში. დამე წიწამურის ტყეში გავათიეთ. გავინაწილეთ ის არე-

მარე, სადაც ილია უნდა მოგვეკლა, საიდანაც ილიას მეეტლე ეტლს ჯერ მძიმედ წამოიყვანდა და შემდეგ შეაჩერებდა. სამი კაცი მალე უნდა გადამდგარიყო ეტლის გაჩერების ადგილას; მე და ერთი კაციც დაბლა უნდა ვმდგარიყავით, რომ არ გაგვექცეოდა.

გათენდა. ცოტა დააგვიანდათ მგზავრებს. მგონი, პირველ თუ ორ საათზე გამოჩნდა ჭავჭავაძის ეტლი - თოფები გავარდა და კნიაზი ეტლიდან გადმოვარდა. მე ზევით ვისროლე.

- მართალი თქვი, შენგან გასროლილი ტყვია მოხვდა ილიას გულსა და შუბლში, შენმა ტყვიებმა განგმირა ილია? ჩვენ ამის ჩვენება გვაქვს: 1907 წელს გასამართლებულმა შენმა ამხანაგებმა დაწვრილებით თქვეს ყველაფერი; ისინი არ უარყოფენ იმას, რაც თვითონ ჩაიდინეს, და არც იმას, რაც სხვებმა, მათ შორის შენ რაც გააკეთე.

- ჭავჭავაძე რომ გადმოვარდა ეტლიდან, გადმოვარდა სათვალე და საფულე, მე საფულე ავიღე და იქვე ივანიშვილს მივეცი. საფულეში 600 მანეთი იყო. მე ფული არ წამიღია.

- ჭავჭავაძის მეუღლეს - ოლღა ჭავჭავაძისას - ვინ ჩაუმტვრია ცხვირ-პირი თოფის კონდახით?

- ჩაუმტვრიეს, კი, მაგრამ ვინ - არ დამინახავს!

- პატარა სათვალე დაინახე მიწაზე დაფარდნილი და ის ვერ დაინახე? აქაც სტყუი! ხიზანიშვილისა და აფციაურის მიერ 1907 წელს მიცემული ჩვენებით, ოლღა ჭავჭავაძეს შენ დაულეწე სახე და თავი ისე, როგორც შენმა გასროლილმა ტყვიებმა განგმირეს ილია ჭავჭავაძე. სხვას რას იტყვი?

- შემდეგ მე გავიქეცი ჩვენი ქვეყნიდან და 1907 წლიდან 1921 წლამდე სპარსეთში ვცხოვრობდი. 1921 წელს დავბრუნდი საქართველოში და შევედი პარტიაში.

- მაშ, სპარსული ენა გეცოდინება?

- წყალობით ვიცი!

- პარტიაში მიღებისას თუ აღიარე შენი წარსული?

- არა, არ მითქვამს! რა საჭირო იყო?

- შემდეგ?

- შემდეგ ვმუშაობდი ღუშეთში, მუხრანში, თბილისში.

- თუ იცნობდი შენს მსხვერპლს, როცა ჰკლავდი?

- არა, არ ვიცნობდი.

- ნუთუ არ გქონდა გაგონილი ილია ჭავჭავაძის სახელი, არ წავიკითხავს მისი ნაწერები: „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვა?

- არ წამიკითხავს და არც გამიგონია მისი სახელი. აკაკი წერეთლის ლექსები კი ვიცოდი.

- ილია ჭავჭავაძე ილიაობას აწყობდა ყოველ წლიურად და სხვა სტუმრებთან ერთად მეზობელი სოფლებიდანაც ჰყავდა მოპატიჯებული ხალხი. შენი სოფელი სამი-ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული საგურამოს და ნუთუ არავის უხსენებია ილია ჭავჭავაძის სახელი?



- მე მისი სახელი არ გამიგონია.

- შენ ორი შვილი გყავს: ქალ-ვაჟი, შენმა ვაჟმა დაამთავრა ის სკოლა, სადაც ილია ჭავჭავაძე სწავლობდა (ყოფ. პირველი გიმნაზია). ნუთუ შენმა ვაჟმა არ გითხრა, იმ სკოლაში ვსწავლობ, სადაც წინათ სწავლობდა ილია ჭავჭავაძეო?

- არ უთქვამს...

- შენი ქალიშვილი სწავლობდა და დაამთავრა თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი სკოლა ილია ჭავჭავაძის სახელობისა. ნუთუ არ ჰკითხე შენს ქალიშვილს: რა გააკეთა ისეთი ილია ჭავჭავაძემ, რომ მისი სახელობის სკოლაც კი გახსნა ჩვენმა მთავრობამ?

- არ მიკითხავს, არ დაეინტერესებულვარ!

- 1937 წელს ჩვენმა მთავრობამ შენს მიერ ჩადენილი ვერაგული მკვლელობის 30 წლის თავი და ილიას დაბადებიდან ასი წლისთავი აღნიშნა. შენ მაშინ თანამდებობის კაცი იყავი, - უთუოდ გაზეთებს კითხულობდი, მაშინ მაინც ვერ გაიგე, ვინ ყოფილა ილია ჭავჭავაძე?

- მე იმ ადგილებს არ ვკითხულობდი ჟურნალ-გაზეთებში!

- უტიფარი ხარ! კმარა! შემოიყვანეთ მოწმეები!

პირველად ვიღაც მოხუცი დედაკაცი შემოიყვანეს.

- სახელი და გვარი, მამის სახელი? - ჰკითხეს მას. ჩაიწერეს.

- სად გაიცანი ეს კაცი და როდის?

- ეს კაცი ჩემი მეჯვარე იყო. ჩემი გვირგვინი ეკავა ხელში ჩემი ჯვრისწერის დროს.

- როდის მოხდა ეს?

- 1911 წელს.

- ბერბიჭაშვილო, ამტკიცებ: სპარსეთში ვიყავი 1907 წლიდან 1921 წლამდე! 1911 წელს კი ცოლი შევიერთავს საქართველოში! რას იტყვი?

შემოვიდა საგანგებოდ გამოძახებული პროფესორი, სპარსული ენის სპეციალისტი იუსტინე აბულაძე, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, თუ რამდენად „წყალოვით“ იცის სპარსული სპარსეთში ვითომცდა 13 წელს ნაცხოვრებმა ბერბიჭაშვილმა.

- პროფესორო, გთხოვთ ებაასოთ სპარსულ ენაზე ბერბიჭაშვილს და მოგვცეთ დასკვნა, თუ რამდენად იცის მან სპარსული!

- პროფესორმა იუსტინე აბულაძემ „გამოცადა“ ბრალდებული და დასკვნაც მიიღო: არც ერთი სიტყვა არ იცის სპარსული, - იცის აზერბაიჯანული ენა.

მოწმეთა შორის იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე და ორგანიზატორის, ჯაშის ცოლი. მისი დაკითხვით და სხვა მასალებით გამოირკვა, რომ ჯაში ყოფილა ნაირ-ნაირ პარტიაში. იგი იყო პროვოკატორი, ხაზინის გაძარცვის ორგანიზატორი. ეს ბინძური ადამიანი 1922 წელს ცოლის ძმას მოუკლავს ნაძარცვი ფულის გაუზიარებლობის და სხვა ამგვარი მიზეზის გამო...

- შემოიყვანეთ მოწმე ფაღაფა!

- შემოვიდა 80-82 წლის ხმელი, მაღალი, ლამაზი სახის მოხუცებული, რომელიც იმ პერიოდში (1907 წელს), ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დროს, დუშეთის მაზრის უფროსი ყოფილა.

- მოახსენეთ სასამართლოს, რა იცით ამ საქმის გარშემო!

- როცა დუშეთის მაზრის უფროსად დამნიშნეს, ჩავიბარე მაზრა და მისი საქმეები. გადმომცეს ერთი საიდუმლო, შიფრირებული მოწერილობა, რომლითაც მაზრის უფროსს ევალეზოდა თვალყური ედევნებინა ილია ჭავჭავაძისათვის და სათანადო ცნობები ეგზავნა გუბერნატორისა და ჟანდარმთა სამმართველოსათვის... დიდ ილიას კარგად ვიცნობდი, დიდად ვაფასებდი მას და დროგამოშვებით ვშველოდი კიდევაც ამ საამაყო ქართველს. დუშეთში, ჩემს კაბინეტში ყოფნის დროს, შემატყობინეს: ილია ჭავჭავაძე მოკლეს წინამურშიო. თავზარდაცემული დავჯექი ცხენზე და რაზმის თანხლებით ელვის სისწრაფით მივიჭერ მკვლელობის ადგილას. ვხედავ, შარავნაზე ასვენია ტყვიით განგმირული ილია, იქვე მოკლულია მისი მზარეული; ილიას მეუღლე - ოლღა სახედაჩქვილი და თავგატყვილი უგრძობლად გდია მიწაზე. ალყა შემოვარტყი ტყეს. ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად აქეთ-იქით დავგზავნე ჩემი მხლებლები. მიცვალებული და ილიას მეუღლე ურემზე მოვათავსეთ და საგურამოსკენ გავწიეთ... ჯაში ფუსფუსებდა, წუხდა, თავს იკლავდა, - ეს რა უბედურება მოხდაო? ჩემმა კაცებმა უცხო ვერავინ ნახეს იმ არემარეში. ილიას მეუღლე ამბობდა: თავდამსხმელები თეთრ

ხალათებში იყვნენ, სამხედრო პირებს ჰგავდნენო.

ილიას მეუღლისათვის პირველი დახმარების აღმოჩენისა და მიცვალებულის სახლში დასვენების შემდეგ შევედი სოფლის კანცელარიაში, დავიბარე სხვადასხვა პირები, დაკითხვა დავიწყე. ჩემმა „ურიადენიკმა“ მითხრა: ერთი მოხუცებული კაცია ვიღაც და მთხვავს მოგახსენოთ, რომ თქვენი ნახვა უნდაო.

- შემოიყვანეთ! - ვუპასუხე მე. შემოვიდა, ასე, 65-70 წლის მოხუცი.

- რა გინდათ? - შევეკითხე. ეტყობოდა, მოხუცს არ უნდოდა ელაპარაკა სხვისი თანდასწრებით. მდივანი დავითხოვე ოთახიდან.

- ბატონო, - დაიწყო მან, - თქვენ, მგონი, ილიას მკვლელებს ეძებთ! გეტყვით, ოღონდ, თუ გამცემთ, გადამწვავენ, ცოლ-შვილს ამიწიოკებენ.

- პირობა მივეცი, არ გამეთქვა, - დასძინა ფაღაფამ, - სინდისს ვფიცავ, პირობა შევუსრულე, თუმცა 1907 წელს სასამართლოში ძალიან დამჭირდა მისი დასახელება; მიცემული სიტყვის გამო თავი შევიკავე მისი სახელისა და გვარის ხსენებისაგან, ამ საიდუმლოს ახლა გამხელ მხოლოდ...

- მოხუცმა მითხრა, - განაგრძო ფაღაფამ, - ჯაშმა მოაწყო ეს საზიზღარი საქმე. ილიას მკვლელები არიან ყაჩაღი გიგოლა ბერბიჭაშვილი, ილიას მელორე ხიზანიშვილი, ნამამასახლარი ივანიშვილი და აფციაურიო. მადლობა ვუთხარი და გავისტუმრე მოხუცი. რამდენიმე კაცი ისე დაგვითხე - თვალის ასახვევად და გზის ასახვევად, თორემ მე უკვე ვიცოდი იმ პატიოსანი კაცის მეოხებით ნამდვილი მკვლელების სახელები და გვარები... ჯაში დავაპატიმრე. სამ თვეს ვაწარმოებდი გამოძიებას დუშეთში. დავამთავრე გამოძიება და საქმეები პატიმრებთან ერთად გადმოვგზავნე თბილისში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ბერბიჭაშვილის ძებნას გადავეყვი. ას მანეთზე მეტი სხვადასხვა აგენტებს მივეცი. მეტყობდნენ, ამა თუ იმ ცხვარში იმალებო. მივიდოდი, ვერ ვნახულობდი...

ბრალდებულო ბერბიჭაშვილო, თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა მოწმე ფაღაფას მიმართ? - დაარღვია ცოტაოდენი პაუზა თავმჯდომარემ.

- არა მაქვს! - არხეინად უპასუხა ბერბიჭაშვილმა.

რამდენიმე მოწმე დაკითხეს კიდევ. ყველამ აჩვენა, რომ ბერბიჭაშვილი იყო ბინძური ადამიანი, ქურდბაცაცა, მძარცველი, აგენტი...

სასამართლოს რვა სხდომაზე ბევრი რამ ითქვა, საქმის ბევრი დეტალი გამოირკვა. გამოქვეყნდა სხვადასხვა საინტერესო საბუთი, ცნობა იმის დასამტკიცებლად, რომ ი. ჭავჭავაძე საშიში კაცი იყო თვითმპყრობელობისათვის და მისი „თავიდან მოცილება“ უნდოდა მეფის ჟანდარმერიას. არაერთხელ მიუწერიათ ჟანდარმერიებსა და

ცენზორებს პეტერბურგისათვის, რომ ილია ჭავჭავაძე ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერია საქართველოში, მის ბინაზე საეჭვო და საშიში პირები იკრიბებიან, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობს შეაპაროს ცენზორებს მთავრობის საწინააღმდეგო წერილებიო და სხვა.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ჟანდარმერიის აგენტებმა რომ მოაწყეს და ჟანდარმერიამ რომ იცოდა - სად და რომელ საათზე მოკლავდნენ ილიას - იქიდან ჩანს, რომ დანაშაულის დღესა და საათზე დეპეშა გაიგზავნა პეტერბურგში ილიას მოკვლის შესახებ, თუცა დეპეშის გაგზავნის წუთებში ილია ჯერ კიდევ მოკვლილი არ იყო...

ნათელი გახდა ისიც, რომ ჟანდარმერიამ მოახერხა ისე მოეკლა ილია, რომ მისი მკვლელობა სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის დაებრალეზინა. ამ მიზნით ჩაითრიეს საზიზღარ საქმეებში ბრმები: ხიზანიშვილი და აფციაური...

... მოწმე ფალაგამ განაგრძო:

- ... 1907 წელს სასამართლოს სკამზე იჯდა მხოლოდ ორი მკვლეელი (ხიზანიშვილი და აფციაური); მკვლელობის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ჯაში ამკარად „გამოდერა“. ნამამასახლისარ ივანიშვილს, დაკითხვის შემდეგ ციხეში რომ მიჰყავდათ, უთხრეს - გაიქეცი, მცველები თოფს არ გესვრიანო. გაიქცა, ესროლეს, მოკლეს. მესამე აგენტს, რომლის ტყვეითაც მოკვდა ილია - გ. ბერბიჭაშვილს - ხელს არ უშლიდნენ დამალულიყო... დახვრიტეს ბრმა იარაღები - ხიზანიშვილი და აფციაური.

პროკურორმა მიწასთან გაასწორა ნაძირალა ბერბიჭაშვილი: ილიას საფლავზე ვარდი და იანი ამოვლენ... შაშვნი და ბულბულნი აჭიკჭიკდებიან, ხოლო ბერბიჭაშვილის საფლავს ნაგავი დაფარავს და ჭიადუები დაესვეიანო - თქვა მან.

სასამართლოს დადგენილებით, ბრალდებული გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სასჯელი უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

სწი



სად არ აღმოუჩენიათ სამშობლოს კალთას მოწყვეტილი ქართველების კვალი, საით არ წაუყვანია ბედის უკუდმართობას, თუ უკეთესი მომავლის ძიებას ჩვენი თანამემამულე? ქართველ მამლუქთა ღვაწლი და ამაგი დღესაც ახსოვთ ეგვიპტეში, თუცა, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ჩვენამდე კვლავ აღწევს ისტორიის წყვილიაღში მიკარგული ჩვენთვის უცნობი ქართველების ცხოვრების ამბები.

დღეს სწორედ ასეთი ამბავი მინდა გიამბოთ და დარწმუნებული ვარ, თქვენც აღტაცებაში მოგიყვანთ მონათა ბაზარზე ნაყიდი ერთი ქართველი გოგონას

ისტორია.

2006 წლის ზაფხულში ეგვიპტის ქალაქ კაიროში ქართული დელეგაცია იმყოფებოდა. ქართველი ისტორიკოსებისა და მკვლევარების ამ ჯგუფს ზედა წილად აღმოეჩინა „ბაიდა ნაფისას“, ანუ „თეთრი განძის“ საფლავი კაიროს ე. წ. მკვდართა ქალაქში.

იხსენებს კინოს, მუსიკის, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი, ისტორიკოსი და ექსპედიციის ხელმძღვანელი გიორგი კალანდია: “მკვდართა ქალაქში, უამრავ საფლავს შორის,

სამი ძალიან ცნობილი პიროვნების უკანასკნელი განსასვენებელია. სამივე ქართველი მამლუქი გახლდათ, სამივე – ტყვეთა ბაზარზე ნაყიდი მონა. ალი-ბეი ალ-ქაბირი ეგვიპტის ყველაზე გამოჩენილი ქართველი გამგებელი იყო, ისმაილ-ბეი – ეგვიპტის მამლუქთა ოსმალურ ფრთას მეთაურობდა, იბრაჰიმ ქათხუდას კი ეგვიპტეში განუზომელი სიმდიდრე და გავლენა ჰქონდა. მათი საფლავებიდან ორიოდნაბიჯში, უბრალო ხის ჭიშკართან პატარა მავზოლეუმი. სწორედ აქ განისვენებს ქართველი ნაფისა“.

ექსპედიციის წევრების მიერ ეგვიპტეში სხვადასხვა პიროვნებისგან მოპოვებულმა ინფორმაციამ შესაძლებლობა მოგვცა მოზაიკასავით ფრაგმენტ-ფრაგმენტ აღგვედგინა და თვალი გადაგვევლო ამ გასაოცარი ქალის ცხოვრებისთვის.

უტყუარი მტკიცებულება ნაფისას ქართველობისა არ არსებობს. არც მისი პორტრეტი აღვებდეთ შემორჩენილი, თუმცა მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში შექმნილი „კავკასიელი ქალის“ პორტრეტის პროტოტიპი სწორედ ნაფისა უნდა ყოფილიყო. ეგვიპტეში ამბობენ, რომ ეს ქალი აფხაზეთის მთებში გაიზარდა. ულამაზესი გოგონა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა მონათა ბაზარზე წარმოშობით ქართველმა უცნობილესმა მამლუქმა ალი-ბეი ალ-ქაბირმა და საფიქრებელია, მანაც გოგონას ეთნიკური წარმოშობის გათვალისწინებით გადაწყვიტა მისი ყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანურ სამყაროში ქალის უცილობელი ხედრი ჰარამხანა იყო, „ბაიდა ნაფისამ“ ისეთი გამჭრიახობა და ალღო გამოიჩინა, რომ ალი-ბეიმ ის მალევე გაათავისუფლა და ცოლად შეირთო.

სამწუხაროდ, ალი-ბეისა და ულამაზესი ასულის ბედნიერებას დიდი დრო არ ეწერა. მამლუქი ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და მიღებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. მარტოდ დარჩენილმა ქვრივმა არათუ დაკარგა ქმრის მემკვიდრეობა, არამედ გასაოცარი წინდახედულების წყალობით კიდევაც გაამრავლა ის და რაც ყველაზე საინტერესოა, მოგვიანებით, ეგვიპტეში შექმნილი როული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ქმრის ქონება თავის სახელზე დაიმტკიცა. ეს გახლდათ უპრეცედენტო შემთხვევა არა მხოლოდ ეგვიპტის, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში.

მოკლე ხანში ნაფისა ხელმეორედ გათხოვდა. ამჯერად ის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ქართველ მამლუქს – მურად-ბეის გაჰყვა ცოლად. მათი სიმდიდრე განუზომელი იყო. ცოლ-ქმარი დიდ ფუფუნებაში ცხოვრობდა, ფლობდა რამდენიმე მშენიერ სასახლეს და, ასე განსაჯეთ, ჰყავდა სამასი მეომრისგან შემდგარი პირადი ჯარი!

„ბაიდა ნაფისამ“ სახელი ქველმოქმედებითაც გაითქვა. მან კაიროში შეიძინა ყველაზე დიდი

ქარვასლა, რომელსაც თავისივე სახელობის მოწყალეების სახლი მიაშენა. ამ ადგილს საბილ ქუთაბი რქმევია. გადმოცემის თანახმად, აქ სხვა მოწყალეებასთან ერთად, სასმელ წყალსაც უფასოდ არიგებდნენ. გარდა ამისა, საკმარისი იყო გლახაკი საბილ ქუთაბის კარს მისდგომოდა და ნაფისასთვის ეხმო, უმაღლ მოწყალეებას მიიღებდა. განუკითხავი მისგან არავინ მიდიოდა.

ნაფისას კაიროში რამდენიმე სახელით იცნობდნენ. „ბაიდა ნაფისა“, ანუ „თეთრი განძი“ მას სილამაზის გამო შეარქვეს. ნაფისას ნათლობის სახელი „ვიქ აბდალა“, ანუ ღვთის მონის ასული გახლდათ. ამ სახელს ტრადიციულად ნათლობისას იმ გოგონებს არქმევდნენ, რომელთა მამის ვინაობაც უცნობი იყო, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ქალს მესამე სახელიც შეარქვეს – „უმაღლ მამალიკ“, რაც მამლუქთა დედას ნიშნავს და ამ სახელის ისტორიაც თავად ნაფისასავით საკვირველი და არაჩვეულებრივია.

1798 წელს, როდესაც ნაპოლეონი ეგვიპტეს მიადგა და პირველი ცხარე ბრძოლა გამართა პირამიდებთან, მამლუქთა ლაშქარი იბრაჰიმ შინჯიკაშვილისა და მურად-ბეის მეთაურობით დამარცხდა და უკან დაიხია. თავად ნაპოლეონი მამლუქებს ბარბაროსებად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ისინი სრულებით არ იმსახურებდნენ ეგვიპტის მმართველთა ტიტულსა და იმ ფუფუნებას, რომელშიც ეს უკანასკნელნი ცხოვრობდნენ. გამარჯვებული ნაპოლეონი ცხენზე ამხედრებული გაემართა გამარჯვების ჭიშკრისკენ, თუმცა როდესაც ძლევამოსილი მხედართმთავარი ქალაქის შესასვლელს მიუახლოვდა, კარიბჭესთან კაიროს სიამაყე, „ბაიდა ნაფისა“ დახვდა და ხელის ერთი აღმართვით აიძულა იმპერატორი ცხენიდან ჩამოქვეითებულიყო. ქართველი ქალის ამ ნაბიჯმა კაიროაოხრებისგან იხსნა. მოხიბლულმა ნაპოლეონმა ნაფისა სასახლეში მიიწვია და ძვირფასი საჩუქარი – ბრილიანტის თვლებით მოჭრილი სამაჯური უძღვნა. ნაფისამ ამჯერადაც არაჩვეულებრივი გამჭრიახობა და დიპლომატური ნიჭი გამოიჩინა. ნაპოლეონთან მოლაპარაკების დროს ქალი ქმარს ერთობ უცნაური ხერხით უკავშირდებოდა. დაშორებული ცოლ-ქმარი ერთიმეორის ამბავს ცეცხლის ალის საშუალებით იტყობდა. ნაფისა აბისინიაში, საკუთარი სასახლის სახურავზე ანთებდა კოცონს, მურად-ბეი კი – ყველაზე მაღალი პირამიდის ქიმზე.

ქართველი ქალის გონმა და ალღომ ისევ სასურველი შედეგი გამოიღო. მოლაპარაკებების შედეგად დამარცხებული მამლუქები კვლავ ქალაქში დაბრუნდნენ, ხოლო ნაფისამ კიდევ ერთი სახელი – მამლუქთა დედა, „უმაღლ მამალიკ“, დაიმსახურა.

ელენე სუთიძე

„ეხილეთ ღამის სასახლის“ საიჯუმბულო



სასახლე, რომელიც საოცარ ისტორიას ინახავს, მე-19 საუკუნეში, 1895 წელს, იმ დროის ერთ-ერთი ულამაზესი ქართველი ქალის გულის მოსაგებად აშენდა. ეს ქალი, თავადი ტარიელ დადიანის მეუღლე გახლდათ – აგრაფინა ჯაფარიძე. ყველაფერი კი ერთ მდიდრებისთვის განკუთვნილ საღამოს დაიწყო. თავადის მეუღლე, „ვეფხისტყაოსნის“ დადგმაში მონაწილეობდა, სადაც ნესტან-დარეჯანის როლს ანსახიერებდა. ამ წარმოდგენას გერმანელი პრინცი – კონსტანტინე ოლდენბურგიც ესწრებოდა, რომელიც თბილისიდან ფოთამდე რკინიგზას აშენებდა.

პრინცი ოლდენბურგი იმდენად მოიხიბლა ქალის სილამაზით, რომ მის მეუღლეს ცოლთან ერთი ღამის დარჩენის სანაცვლოდ მილიონი ოქრო შესთავაზა.

თქვენ წარმოიდგინეთ, თავადმა დადიანმა ცდუნებას ვერ გაუძლო და დათანხმდა! თანხმობის შემდეგ, აგრაფინა ჯაფარიძესთან მისული ოლდენბურგისთვის ულამაზეს და საკმაოდ ჭკვიან ქალბატონს უთქვამს: „ფული ჩემს მეუღლეს გადაუხადე და მას მიაკითხო“. მაშინ გერმანელმა პრინცმა იკითხა, თუ რა უნდა გაეკეთებინა აგრაფინას გულის მოსაგებად, მან კი ამ სასახლის აშენება სთხოვა.

გადმოცემის თანახმად, სასახლე ექვს თვეში

აუშენებიათ. მის პირველ სტუმრებს მთავარ დარბაზში შესვლისას კაბა და შარვალი აუკეცავთ, რადგან იატაკი ბროლის იყო და დარბაზის განათება წყლის ეფექტს ქმნიდა.

სასახლის არქიტექტორი პ. შტერნი იმ დროს ძალიან სახელგანთქმული ყოფილა. ნაგებობის სტილი, ერთის მხრივ, „აგურის გოთიკას“ ენათესავება, ხოლო, მეორეს მხრივ, დიდ ადგილს უთმობს ისლამური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ დეტალებს. ოლდენბურგის სასახლე თბილისურ ტრადიციასაც მნიშვნელოვნად სცილდება: ციხე-დარბაზის ტიპის ნაგებობას აქვს ღია ტერასა, ქვის მოაჯირებიანი კიბე, შუა ბასტიონი აზიდული ციცაბო სახურავით და სამსართულიანი კოშკი საიდუმლო ოთახით; მთავარ ფასადზე თავმოყრილი შეისრული თაღები, კედელში ჩასმული ვარდულები, მოაჯირის წვრილი სვეტები გოთური სტილიზაციის უჩვეულო და საინტერესო ნიმუშს ქმნის.

გუმბათს პრინცის საგვარეულო გერბი ამშვენებს, რომელზეც ფრთიანი ცხენია გამოსახული. ამ სიმბოლოს დაცვის მაგიური ძალა გააჩნია თურმე. ასევე საათი, რომელიც ისეთ განწყობას ქმნის, თითქოს აქ დრო გაჩერდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სასახლეში ბროლის იატაკი აყარეს, მოხატული კედლები შეღებეს, უნიკალური ჭაღები ჩამოხსნეს და შენობაში ყრუ-მუნჯთა სკოლა გახსნეს. სასახლის



აშენებიდან საუკუნის შემდეგ იქ მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი განთავსდა და ამჟამად 150 ათასზე მეტ ექსპონატს ინახავს. იგი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ხელნაწერთა ფონდია, სადაც, პრაქტიკულად, ყველა ქართველი ხელოვანის და მწერლის არქივა დაცული.

პრინციან გატარებული ერთი ღამის შემდეგ, აგრაფინა ჯაფარიძემ მიატოვა ქმარი, მასთან ერთად ამ სასახლეში დასახლდა და გრაფინია ზარნიკაუს სახელი მოიპოვა. ხალხს ამ ამბავზე, პატარა ლექსიც შეუთხზავს:

გრაფინია კისკისაო
დადიანმა პრინცს მისცაო!

ამ საოცარ ისტორიას სევდიანი დასასრული აქვს: გადმოცემის თანახმად, პრინცესა აგრაფინა ბოლშევიკებმა სიყვარულის კოშკში დაახრჩვეს.

იმდროინდელი თბილისის მკვიდრებს არაერთხელ მოუყოლიათ, რომ სასახლეში ქალის აჩრდილი დადიოდა. მუზეუმის თანამშრომლებს დღესაც სჯერათ, რომ სასახლეში აჩრდილები დადიან. სიუჟეტი ტელევიზიითაც გავიდა, ერთ-ერთი თანამშრომელი ყვება: „მუშაობას შევეყვით, როცა ქალის სიმღერის ხმა გავიგონე, ვიცოდი, რომ შენობაში არაფერი იყო. ქალის ხმას, ბავშვების სიცილი მოჰყვა. რკინის კარი გასაღებით იყო ჩაკეტილი, მივხვდი რომ მოჩვენებები დადიოდნენ. ძალიან შემეშინდა.“

ამჟამად, შენობას რესტავრაციას უკეთებენ, რათა პირვანდელი სახე დაუბრუნონ.

თეა ინასარიძე

ს ა თ ვ ი ს ც ო მ ო

30 იანვარს, გერმანიის ქართულ სათვისტომოში არსებულმა სიმღერისა და ცეკვის გუნდმა „იბერისმა“ საქველმოქმედო კონცერტი - „Der besondere Klang Georgiens“ გამართა. კონცერტის ორგანიზებაში დიდი წვლილი გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან ერთად ქალბატონმა ელიზაბედ გასტმა და მისმა საქველმოქმედო ფონდმა შეიტანა.

ორასზე მეტ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ორი ათეული მრავალხმიანი სიმღერა, როგორც ქართული ხალხური, ასევე საეკლესიო შემოქმედებიდან, რომლებიც გუნდმა მოამზადა ბატონ დავით კინწურაშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელმა განუმეორებელმა ჟღერადობამ, რაც მომღერლებმა ნამდვილად მიიტანეს მსმენელებამდე ბატონი დავითის უდიდესი პროფესიონალიზმისა და თითოეულის მონდომების წყალობით, და „იბერისის“ მოცეკვავეების მიერ

შესრულებულმა ცეკვებმა (ხელმძღვანელი მანანა ლაფაჩიშვილი) მაყურებელზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა.

არანაკლებ შთაბეჭდავი იყო ფოტო-მასალა, რომელიც ელიზაბედ გასტის ფონდის მიერ ომის დროს სამაჩაბლოს დაზარალებული ბავშვებისათვის გაწეულ დახმარებას ასახავდა. მისი ნახვა მაყურებელს კონცერტის მსვლელობის ერთ მონაკვეთში შეეძლო.

ღონისძიების დასრულების შემდეგ გერმანიის ქართული სათვისტომო სტუმრებს „თელიანი ველის“ ქართული ღვინით გაუმასპინძლდა, რომელიც კომპანია - STD Distributions - მოგვარა.

კონცერტიდან შემოსული თანხა ნაწილობრივ „იბერისის“ განვითარებას, ნაწილობრივ სათვისტომოს საქველმოქმედო პროექტებს, ნაწილობრივ კი ომის დროს დაზარალებული ბავშვების კეთილდღეობას მოხმარდება.



LEBENDIGE TRADITION IN DER DIASPORA

Georgischer Iberisi-Chor bezaubert in Vaterstetten mit Gesängen und Tänzen aus einem reichen Kulturschatz

Georgien lebt, Georgien lebt auch in der Diaspora. Das wurde eindrucksvoll vorgeführt durch ein Konzert des georgischen Chors Iberisi, 2001 in der deutschen Diaspora gegründet, welches auch auf Initiative der Elisabeth-Gast-Stiftung in Verbindung mit dem Georgischen Verein in Deutschland e. V. in Vaterstetten stattfand. 17 ansehnliche, ja schöne junge Damen und – in deutlicher Minderzahl, aber umso stimmkräftiger – drei Herren sangen mit erstaunlich perfekter Intonation ein Programm aus dem reichen Schatz der teilweise uralten georgischen Folklore mit überzeugender Klangsönheit. Der georgische Gesang ist nicht nur dank seiner weit zurückreichenden Wurzeln ein Phänomen nicht der Historisierung, sondern der Gegenwart. Die alten Liedervermögen auch uns Heutige zu beruhen und zu verzaubern. Das liegt sicher daran, dass diese Lieder durchaus gegenwärtiger Besitz nahezu jedes Georgiers sind. So erklingen sie in Georgien auch heute noch zu mannigfachen Gelegenheiten, an den meist reich gedeckten Tafel, bei Hochzeiten und Begräbnissen, oder auch nur, wenn man sich zu einem Umtrunk mit georgischem Wein als Kehlenöffner zusammengefunden hat. Es gibt allerdings Stimmen, dass diese lebendige Tradition unter dem Einfluss der Medien auf die Jugend verloren zu gehen droht. Gott bewahre, denn diese Musik ist ein Kulturschatz sondergleichen, seien es die reich harmonisierten, meist dreistimmigen Gesänge Ost-Georgiens, oder die bis in vormittelalterliche Zeiten zurückreichenden polyphonen Gesänge West-Georgiens. Umso erstaunlicher, mit welcher Intonationssicherheit diese musikalisch überwiegend komplizierten Gesänge von den 20 Sängerinnen und Sängern wie selbstverständlich bewältigt wurden. Der sehr professionelle, überlegen leitende Dirigent, Davit Kintsurashvili, musste

das Publikum sogar einmal darauf hinweisen, dass das folgende Lied nicht falsch gesungen, sondern in dissonanter Mehrstimmigkeit ablaufen wurde. Aufgelockert wurde das Programm durch zwei Tanzeinlagen, die Tänzerin in ländlich blauer, weiß gepunkteten Tracht mit Kopftuch, der Partner in der patronenverzierten Männertracht der Georgier, ein hübscher figurenreicher Werbetanz wohl bäuerlicher Ursprungs. Besonderen Tiefgang erhielt der Abend durch die bewegten, von Dias illustrierten Berichte von Frau Gast, welche von der Arbeit und den Erfolgen ihrer Stiftung berichtete. Ihr nicht genug zu rühmender Einsatz hat etwa 2006 zu 47 Projekten von allen der Unterstützung schulischer und medizinischer Versorgung, aber auch der künstlerischen Ausbildung geführt, wobei eine besondere Bemühung den vom letzten Krieg zwischen Georgien und Russland betroffenen Kindern und Jugendlichen galt. Inzwischen hat ihre Stiftung eine Mehrzahl von Mitarbeitern vor Ort angeworben.

Angesichts dieser im besten Sinne menschlichen Leistung sei hier auf das Spendenkonto hingewiesen (siehe unten). Hübscher Nebeneffekt des Wirkens von Frau Gast: eine der 17 Sängerinnen stammt nicht aus Georgien, sondern aus Baldham! Der Rathaussaal war schon dank der starken Beteiligung der georgischen Kolonie Münchens – selbst der zuständige Pope war erschienen – gut besucht, die anschließend Künstlerinnen und Künstlern familiär herzlich bedankte. Diese Herzlichkeit und menschliche Wärme zeichnet die Georgier generell aus und macht sie auch uns Bayern so überaus sympathisch. Deshalb waren sich auch Georgier und Bayern in enthusiastischen Applaus einig.

Claus Regnault Ebersberger SZ Nr. 33
 Elisabeth-Gast Stiftung,
 Kreissparkasse Ebersberg
 BLZ: 70051805
 Konto: 395 392

მე რასაც ვაკეთებ ჩემს ცხოვრებაში და კარიერაში, იმისთვის ვაკეთებ, რომ საქართველოს მოვუტანო სახელი!

უახლესი ინფორმაციით, ლადო ჩიხლაძე ისევ უბრუნდება საჩოგბურთო მოედანს. ის წელს საქართველოს კაცთა საჩოგბურთო ნაკრების შემადგენლობაში ოცდამეცხრედ ითამაშებს დევისის თასზე. 2007 წელს მიღებული ტრამვის შემდეგ მისი საჩოგბურთო კარიერის გაგრძელება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ლადო ამ დროისთვის ისევ აქტიურად განაგრძობს ვარჯიშს და ოცნებაში დარჩენილი მიულწვევლის უახლოეს მომალში ასრულებას გეგმავს.

- როგორ გახდა 70 იანი წლების ვარსკვლავი კალათბურთელის, თამაზ ჩიხლაძის შვილი ჩოგბურთელი? ალბათ ყველას მოლოდინი იყო, რომ შენც კალათბურთს ითამაშებდი.

- კი, ნამდვილად იყო ჩემგან კალათბურთელის გამოყვანის მცდელობა. მართლა ყველა ელოდებოდა, რომ მამაჩემის შვილი აუცილებლად კალათბურთელი უნდა გამხდარიყო. კალათბურთზეც შემიყვანეს. თავიდან აქტიურად ვითამაშობდი. მაგრამ, ალბათ ისე ძალიან არ მიყვარდა, როგორც უნდა მეყვარებოდა და მაღევე დავანებე თავი. მგონი სწორი გადაწყვეტილება იყო. მამაჩემმა რასაც მიაღწია იმის მიღწევა ადვილი არ არის და თუ მე იმაზე მეტს ვერ გავაკეთებდი, როგორც სპორტსმენი ყოველთვის მამაჩემის ჩრდილში უნდა ვყოფილიყავი.

- რატომ არ გახდი კალათბურთელი გასაკვებია. ახლა ის მითხარი, რატომ გახდი ჩოგბურთელი?

- სპორტი ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა. ძალიან ენერგიული ვიყავი, ცოტა ნერვიულიც. ჩოგანიც ხშირად მეკავა ხელში და სახლში არაფერს ვინდობდი. შეწუხდა ჩემს ირგვლივ ყველა. დეიდაჩემმა თქვა: თქვენ თუ არ წაიყვანთ სპორტზე, მე მოუხერხებ რამესო და წამიყვანა ჩოგბურთზე. მაგ დროს 8 თუ 9 წლის ვიყავი. 10 წლიდან უკვე სერიოზულად დაინტერესდი, ეს ჩემმა მშობლებმაც შეამჩნიეს. მერე მამაჩემიც ჩაერია და თეიმურაზ კაკულიასთან გადამიყვანა.

- 10 წლის ასაკში სერიოზულად დაინტერესდი ჩოგბურთით, 2003 წლიდან კი უკვე პროფესიონალი ჩოგბურთელების სიაში წერიხარ. როგორი იყო გზა 1995 წლიდან 2003 წლამდე?

- 13 წლის ვიყავი, როცა ამერიკელმა მწვრთნელმა პო ბლომმა, რომელიც თბილისში იყო ჩამოსული, ჩემი თამაში ნახა და სპონსორობა შემომთავაზა.

გ ა მ ი ფ ო რ მ ე ს კონტრაქტი და ჩამოვედი გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არც ერთი ტურნირი არ მქონდა ნათამაშები, ოთხი ტურნირიდან, რომელიც მაშინ აქ ვითამაშე, ოთხივე მოვიგე. მივიღე შემოთავაზება ნიკი პილიჩისაგან, რომ



მასთან შეთანხმდა და მეც დავრჩი ოთხი წლით გერმანიაში. 14 წლამდე მოთამაშეებში მეორე ჩოგანი გახდი, 16-მდე ათეულში ვიყავი. 18 წლის ასაკში ამერიკაში წავედი. ამ დროს ცოტა გული ავიცრუე თამაშზე, ამერიკაში კოლეჯში სწავლანე უარი ვთქვი და საქართველოში დავბრუნდი. ვვარჯიშობდი თითქმის კონტროლის გარეშე, რის გამოც უამრავი ტრამვა მივიღე. ამან ძალიან უკან დამხია. თუ წელიწადში 12 თვიდან 11 უნდა ითამაშოს ჩოგბურთელმა, მე ვითამაშობდი წელიწადში სამ თვეს. დანარჩენი დრო კი ან ფეხი მქონდა ამობრუნებული, ან კუნთი გაწყვეტილი. ძნელი იყო ასევე საკუთარი თავის მოტივირებაც. ამ ყველაფრის გამო ამ წლებში ჩემს სპორტულ კარიერას არაფერი მომატებია.

- მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მალე გახდი საქართველოს პირველი ჩოგანი. როდიდან დაუბრუნდი აქტიურად ისევ ჩოგბურთს?

- 2007 წელს მოხდა რაღაც გადატრიალების მაგვარი. მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდა ეს სპორტი და ისევ სერიოზულად დავიწყე მომზადება. 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის ბოლომდე სერიოზულად

ვემზადებოდი და ეს შედეგებსაც დაეტყო. ყველაზე დიდ წარმატებებს იმ წელს მივაღწიე. რაც ნიშნავდა იმას, რომ 2008 წელს უნდა გამეკეთებინა მთავარი და ყველაზე დიდი გასვლა. დეკემბერში, ანუ მაშინ, როცა იწყება საჩოგბურთო მომზადება, წვედი ამერიკაში სავარჯიშოდ. იქ ჩავედი 4 დეკემბერს და 8 დეკემბერს მივიღე ტრამპა და 9 თვე საწოლიდან არ ავმდგარვარ. ამან თითქმის შეიწირა ჩემი კარიერა.

- ეს, როგორც ვიცი, არა მარტო ფიზიკურად დასუსტებას ნიშნავს, არამედ რეიტინგზეც უარყოფითად მოქმედებს.

- მსგავსი შემთხვევების დროს ასეთი რამ ხდება, ცხრა თვის განმავლობაში თამაშის დაწყებიდან გიცავენ რეიტინგს, რომელიც უკვე გაქვს. ამ რეიტინგით შეგიძლია ითამაშო 9 ტურნირი, დანარჩენ ტურნირებზე გაქვს ნული რეიტინგი. ამ ცხრა ტურნირზე თუ ვერ გამოხვედი, გაქვს ნოლი ქულა და ფაქტიურად ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო. გარდა ამისა, ამ დროს აღარა ხარ განთესილი, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას.

- და შენ რატომ ვერ შეძელი ამ რეიტინგის გამოყენება?

- ტრამპიდან ცხრა თვის შემდეგ, როდესაც მწვრთნელმა აზერბაიჯანში გამიშვა სათამაშოდ, მხოლოდ ერთი კვირის ნაპარჯიშები ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ იქ კარგად ვითამაშე და ნახევარფინალში გავედი, მაშინ ჩემი საჩოგბურთო მეოქროსეული გასვლა დიდი შეცდომა იყო. ფიზიკურად კარგად არ ვიყავი მომზადებული და ძალიან სუსტმა დამამარცხა შემდეგ თამაშში. მერე ისევ დამიწყო კისერმა ტკივილი და 3 თვე საწოლიდან ვერ ავდექი. ამ დროს მთელი ეს ჩემი ქულები, რითაც 9 ტურნირი უნდა მეთამაშა, გაქრა.

- რას ნიშნავდა ეს შენი კარიერისთვის, გარდა რეიტინგის დაკარგვისა?

- როგორც სპორტსმენი, შეჩვეული ხარ რაღაც შედეგს. როცა ეს ყველაფერი უცებ გერთმევა, ძნელი შესაგუებელია და ძალიან გიჭირს თავიდან დაწყება. იმ დროს ვფიქრობდი, რომ არასოდეს არ მომინდებოდა თამაში. მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი მწვრთნელი მყავდა ავსტრიაში 2009 წელს და ფიზიკურადაც გაუძლიერდი, მაინც გადაწყვიტე თამაშზე თავის დაწება. ამას ჩემი შვილის დაბადებაც დაემთხვა და მასზე გადავიტანე მთელი ყურადღება.

- და მაინც რამ გადაწონა, ნოლიდან დაწყების შიშმა თუ ფიზიკურად დასუსტებამ?

- თამაშის გაგრძელება ფიზიკურად ისე ძნელი არ იყო, როგორც ფსიქოლოგიურად. თითქმის დეპრესიამდე მივედი. ტკივილები ძალიან მაწუხებდა, ვხედავდი რომ იმდენს ვეღარ ვაკეთებდი, რამდენსაც წინა წლებში. რა თქმა უნდა არ იყო ეს ადვილი, მაგრამ ამ ყველაფერს უფრო ვუმკლავდებოდი, ვიდრე ფსიქოლოგიურ ტკივილს. ერთმა ცნობილმა ჩოგბურთელმა თქვა, რომ ჩოგბურთი 75% არის მენტალური სპორტი, დანარჩენი ფიტნესი და მხოლოდ 5%-ია ჩოგბურთი. ჩემთვის ზუსტად ეს 75% იყო ამ დროს ძნელი ასატანი. ამიტომაც ჩოგბურთი ერთ-ერთი ყველაზე რთული სპორტი. მარტო ხარ და თუ მენტალურად ძალიან ძლიერი არ ხარ და ამ სიმარტოვეს ვერ უმკლავდები, ფსიქოლოგიურად განადგურებს. მე ეს ვერ გადავლახე მაშინ.

- მართალია ჩოგბურთის თამაშს დაანებე თავი, მაგრამ არა ჩოგბურთს და როგორ აფასებ შენი, როგორც მწვრთნელის კარიერას?

- როგორც მწვრთნელმა, ვიმუშავე არა მარტო ახალგაზრდებთან, არამედ პროფესიონალებთანაც. ამან მე თვითონაც ძალიან ბევრი რამ მასწავლა. შემოთავაზება მაქვს, რომ ინგლისში წავიდე მწვრთნელად. თუ ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც დაგეგმილი მაქვს, უახლოეს მომავალში დრო აღარ მექნება, მაგრამ სამომავლოდ ამის გაკეთებასაც ვგეგმავ. ჯერ უფრო მნიშვნელოვანი რამის მიღწევა მაქვს ჩაფიქრებული. რაც შეეხება ჩოგბურთის თამაშზე თავის დაწებას, მე ამას უფრო შესვენებას დავარქმევდი.

- როგორც ვიცი ეს შესვენება დასრულდა და ისევ მალე გნახავთ საჩოგბურთო მოედანზე.

- კი, ასეა. ჩავეწერე დევისის თასის გუნდში 2010 წლისთვის. ისევ ვუბრუნდები ჩოგბურთის თამაშს ახალი შემართებით და ენერჯით. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ძალიან დამხმარა ჩემი ოჯახი. ჩემს გვერდზე დგანან ჩემი მშობლები, მეგობრები, უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობ ჩემი მეუღლისგან და შვილისგან. (1 წლის ლუკა, ვერ ამბობს, მაგრამ ძალიან უნდა რომ მამა საჩოგბურთო მოედანზე ნახოს). ახლა მთავარი ისაა, რომ დაფინანსება ვნახო. ეს მე საშუალებას მომცემს 100%-ით დავუბრუნდე ჩოგბურთს. მოლაპარაკებული ვარ მწვრთნელებთან, ვვარჯიშობ ძალიან აქტიურად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მზად ვარ მენტალურად და უფრო მეტი ვიცი, ვიდრე აქამდე ვიცოდი.

- მიღწეულ წარმატებებს დაუბრუნდეთ. რომელ ტურნირს ან ტურნირებს გაიხსენებ, როგორც ყველაზე ემოციურს და მნიშვნელოვანს შენი კარიერისთვის?

